



თბილისის ღია სასწავლო  
უნივერსიტეტი

ქეთევან მურადაშვილი

“მოდრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა“

ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი

სრული პროფესორი, სამართლის დოქტორი ზურაბ ჭეჭელაშვილი

თბილისი, 0156

საქართველო

2020 წ.

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

„ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ქეთევან მურადაშვილის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თარიღი: \_\_\_\_\_

ხელმძღვანელი: სრული პროფესორი, სამართლის დოქტორი, ზურაბ  
ჭეჭელაშვილი

\_\_\_\_\_

რეცენზენტი:

\_\_\_\_\_

ავტორი:

ნაშრომი: „მოდრავ ნივთებზე საუთრების უფლების გადაცემა“

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პროვინების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

## რეზიუმე

ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში სამოქალაქო და არა მარტო სამოქალაქო, არამედ ეკონომიკური ბრუნვის სტაბილურობა უმეტესწილად განპირობებულია საკუთრების საკუთრების უფლების გადაცემითა და აღნიშნული სამართალურთიერთობის სათანადო მოწესრიგებით საკანონმდებლო დონეზე. საკუთრების მნიშვნელოვანი და არსებითი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს მისი განკარგვის შესაძლებლობა. წინამდებარე ნაშრომი კი სწორედ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების განკარგვის კერძოდ გადაცემის თავისებურებათა მიმოხილვას ეძღვნება.

საქართველო სამოქალაქო კანონმდებლობაში მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის მომწესრიგებელი ნორმის განმარტების საფუძველზე ნაშრომში მიმოხილულია სამი ელემენტი, რომელსაც ეფუძნება მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნა. პირველი ელემენტი ეს არის საკუთრების გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტი, რომელიც მუხლის შინაარსიდან გამომდინარე განსაზღვრულია, როგორც „მესაკუთრე“. თუმცა სამოქალაქო კოდექსი იცნობს შემთხვევებსაც, როდესაც მესაკუთრის გარდა საკუთრებს უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე შეუძლიათ განახორციელონ მესამე პირებმაც. მეორე და მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს „ნამდვილი უფლება“ კერძოდ ჩანაწერი იმის თაობაზე რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე უნდა გადასცეს ნივთი სხვა პირს შესაბამისად დიდი ყურადღება ეთმობა საკითხს თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს „ნამდვილ უფლება“ -ში. რაც შეეხება მესამე ელემენტს ეს არის ნივთის გადაცემა. ნაშრომში გაანალიზებულია ნივთის გადაცემის საკანონმდებლო და პრაქტიკული მნიშვნელობა. ანალიზისას გამოყენებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მნიშვნელოვანი განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის მოწესრიგებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დღეის მდგომარეობით სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში წარმოდგენილ სისტემებს, რომლებიც განისაზღვრება ტრადიციის, კონსენსუალური, აბსტრაქტული და კაუზალური სისტემებით. შესაბამისად ყურადღება მახვილდება სისტემათა მახასიათებლებზე, რომლებიც განხილულია საფრანგეთის გერმანიისა და საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობათა მაგალითზე.

საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობის მიერ აღიარებულია კონსესუალობისა და კაუზალობის პრინციპი - ე.წ ერთიანობის პრინციპი, რომლის

მიხედვითაც საკუთრების უფლების გადასვლა სხვა პირზე ხორციელდება მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებით და საკუთრების წარმოშობა არ არის დამოკიდებული მხარისთვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემაზე, თუმცა მიუხედავად პრაქტიკაში და არა მარტო პრაქტიკაში, აგრეთვე საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობაში არსებული მრავალი გამონაკლისის გამო, კონსენსუალობის პრინციპი ნაკლებად ეფექტური ხდება და შეიძლება ითქვას, რომ სისტემა მეტად იხრება ტრადიციის პრინციპისაკენ. ტრადიციის პრინციპმა თავისი არსიდან გამომდინარე თავი საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში დაიმკვიდრა. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსში მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის მომწესრიგებელი ნორმა საკუთრების უფლების გადასვლისთვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს, როგორც ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების არსებობას ისე ნივთის გადაცემასაც. თუმცა ასეთი მიდგომა ხშირ შემთხვევაში პრაქტიკული თვალსაზრისით ბევრ ამოუხსნელ შემთხვევათა ერთობლიობას ქმნის.

ნაშრომში განსაკუთრებულად დიდი ყურადღება ეთმობა გერმანულ სამოქალაქო კანონმდებლობაში მოქმედ აბსტრაქციის პრინციპის თავისებურებათა მიმოხილვასა და მისი მნიშვნელობას საკვლევ საკითხთან მიმართებაში. გერმანული კანონმდებლობა აღიარებს განკარგვით გარიგებას, რომელიც თავისი არსით აბსტრაქტული ხელშეკრულებაა. მისი ძალით ხდება სანივთო უფლების გადაცემა. იგი უშუალოდ უფლებაზე ზემოქმედებს და რის შედეგადაც დგება სანივთო სამართლებრივი შედეგი. გერმანიაში მოქმედი „გამიჯვნის პრინციპი“ მკვეთრ საზღვარს ქმნის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობათა შორის და განამტკიცებს სანივთო გარიგების, როგორც დამოუკიდებელი სამართალურთიერთობის იდეას. აღნიშნული სისტემის მოქმედება უგულველყოფილია რიგი ქვეყნების მიერ მათ შორის საქართველოს მიერაც. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა შესაძლებლობას მკვეთრი მიჯნა გაივლოს სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობათა შორის, ცალკეული ნორმები მაინც მიაწინებენ ხსენებული მიჯნის არსებობაზე და ის ფაქტი, რომ ტრადიციისა და კონსენსუალობის პრინციპის ერთობლივი მოქმედების პირობებში სანივთო გარიგება საერთოდ არ არის აღიარებული უამრავ საკანონმდებლო და პრაქტიკული ხასიათის პრობლემას აჩენს.

## Abstract

In any legal state, the stability of civil and not only civil but also economic turnover is largely due to the transfer of ownership of property and the proper regulation of this legal relationship at the legislative level. An important and essential feature of a property is that it is possible to dispose of it. The present paper is devoted to an overview of the disposal of property rights in movable property, in particular the transfer of peculiarities.

Based on the definition of the norm regulating the acquisition of ownership of movable property in the civil legislation of Georgia, the paper reviews three elements based on the acquisition of ownership of movable property. The first element is the entity authorized to transfer the property, which is defined as the "owner" based on the content of the article. However, the Civil Code also recognizes cases where, in addition to the owner, the transfer of ownership of the movable property can be carried out by third parties. The second and most important element is the "real right", namely the record that the owner must transfer the item to another person on the basis of the real right. As for the third element, it is the transfer of the item. The paper analyzes the legislative and practical significance of the transfer of the item. The analysis uses an important explanation from the Grand Chamber of the Supreme Court of Georgia.

In order to regulate the transfer of ownership of movable property, it is crucial to present the systems presented in the legislation of different countries, which are defined by the traditional, consensual, abstract and causal systems. Accordingly, attention is drawn to the characteristics of the systems discussed in the example of French, German and Georgian civil law.

French civil law recognizes the principle of consensus and causality - the so-called principle of unity, according to which the transfer of ownership to another person is carried out only by obligation, legal contract and the origin of property does not depend on the transfer of ownership of the item directly to the party. However, in practice, and not only in practice, but also because of the many exceptions to French civil law, the principle of consensus is becoming less effective, and it can be said that the system is increasingly leaning towards the principle of tradition. Due to its essence, the principle of tradition has established itself in the civil legislation of Georgia. In particular, the Civil Code regulates the transfer of ownership of movable property as a necessary condition for the transfer of ownership, as well as the obligation to enter into a legal transaction, as well as the transfer of the item. However, such approach often creates a combination of many unexplained cases in practical terms.

The paper pays special attention to the review of the peculiarities of the principle of abstraction in German civil law and its importance in relation to the research issue. German law recognizes a transaction that is inherently an abstract agreement. By virtue of its power, the right to property is transferred. It directly affects the right and as a result

of which a material legal result arises. Germany's "separation principle" establishes a sharp boundary between commodity and obligation legal relations and reinforces the idea of a commodity transaction as an independent legal relationship. The operation of this system is neglected by a number of countries, including Georgia.

However, although at first glance Georgian civil law does not allow for a sharp demarcation between material and legal relations, certain norms still indicate the existence of this border and the fact that the commodity transaction is not recognized at all in the context of the joint action of the principle of tradition and consensus, poses a problem of numerous legislative and practical nature.

## აბრევიატურები

1. სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. ფსკ - ფრანგული სამოქალაქო კოდექსი
3. გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
4. იხ. - იხილეთ



## სარჩევი

აბრევიატურები.....	8
შესავალი.....	10
თავი I . მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემები. ....	13
1. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით .....	15
2. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით .....	19
თავი II. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის ელემენტები .....	27
1. საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტი.....	27
2. „ნამდვილი უფლება“ .....	28
3. ნივთის გადაცემა .....	30
თავი III. სანივთო გარიგება როგორც სანივთო სამართლის დამოუკიდებლობის გარანტი .....	33
თავი IV. სანივთო გარიგება ქართულ სამოქალაქო სამართალში .....	37
დასკვნა.....	42
ბიბლიოგრაფია .....	44

## შესავალი

საკუთრების უფლების მაღალი ხარისხით დაცვა და სათანადო პატივისცემა თანამედროვე პროგრესულად განვითარებადი სახელმწიფოს განუყოფელი ვალდებულებაა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას.<sup>1</sup> საკუთრების უფლების სათანადო პატივისცემა თავის თავში უპირველესად მოისაზრებს სრულყოფილი საკანონმდებლო მოწესრიგების არსებობას სახელმწიფოში. აღნიშნულის მიღწევა კი მხოლოდ სანივთო სამართლებრივი კანონმდებლობის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვით არის შესაძლებელი. ეს პროცესი კი იწყება იმის გაანალიზებით, რომ ამა თუ იმ სამართლებრივი სფეროს განვითარება შესაბამისი ნორმის მიღებით არ სრულდება.

**კვლევის აქტუალობა** - წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კერძო სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროს სამართლებრივ კვლევას, როგორცაა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების „განკარვის“ ერთ-ერთ გზა - უფლების გადაცემა. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენა-დაკარგვის აღნიშნულ გზას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება და იგი ამავედროულად წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტს.<sup>2</sup> მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემათა მიმოხილვისას იკვეთება გერმანულ სამართალში აღიარებული სანივთო გარიგების შედარებით „უხილავი“ ბუნება. იგი საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით აღიარებული არ არის და სწორედ ამიტომ ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი ზოგიერთ ნორმაში სირთულეებს იწვევს.

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება N 1/2/384

<sup>2</sup> Wolf, Manfred: Sachenrecht, 14.Auflage. (München, Verlag C.H.Beck, 1999) 169

სანივთო გარიგების არსებობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანივთო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლის დარგის განვითარებისათვის. ამისთვის კი აუცილებელია არსებობდეს მკვეთრი მიჯნა სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებებს შორის, რაც ხშირ შემთხვევაში სათანადოდ არ არის შეფასებული სამოქალაქო კანონმდებლობის მიერ.

**კვლევის მიზანია** - ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოძრავი ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ქართულ და ევროპულ (გერმანია; საფრანგეთი) სამართლებრივ სისტემათა შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, მის საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემატური საკითხების იდენტიფიცირება და გაანალიზება. აგრეთვე სანივთო გარიგების საფუძველზე მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის თავისებურებების განხილვა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სანივთო გარიგების, როგორც სანივთო სამართლის დამოუკიდებლობის გარანტის მნიშვნელობის გამოყოფა და ცალკეულ ნორმებთან მიმართებაში მისი სამართლებრივი ბუნების გაანალიზება.

**ნაშრომის სტრუქტურა** ნაშრომში თავდაპირველად განხილული იქნება მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემები. აღნიშნულ სისტემათა თავისებურებს მიმოვიხილავთ გერმანიისა და საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობის მაგალითზე. შემდგომი თავი შეეხება მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის ელემენტებს ქართულ სამართალში, რა დროსაც განხილული იქნება 3 ელემენტი 1) საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტი 2) „ნამდვილი უფლება“ და 3) ნივთის გადაცემა. ნაშრომი მოიცავს სანივთო გარიგების, როგორც სანივთო სამართლის დამოუკიდებლობის გარანტის მიმოხილვას და მის ადგილს ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაში სხვადასხვა გარიგებათა მოწესრიგებისას.

**კვლევის მეთოდი.** ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე ძირითადად გამოყენებულია კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდი. ნაშრომში განხილულია არამართო ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, არამედ სხვა ქვეყნების (გერმანია; საგრანგეთი) სამართალი და მოქმედი სისტემები, რომელიც დაკავშირებულია ნაშრომის მიზანთან. ნაშრომზე მუშაობისას ასევე გამოყენებულ იქნა ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები.

## თავი I . მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემები.

საკუთრების უფლების განხორციელების საკითხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკუთრების უფლების გადაცემის სისტემებზე.<sup>3</sup> სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ რეგულაციათა ერთობლიობა განსხვავებულია. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემებს ყოფენ იმ მახასიათებლების შესაბამისად მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია, ერთი მხრივ, ტრადიციისა და კონსენსუალურ და მეორე მხრივ, აბსტრაქტულ და კაუზალურ სისტემებში.<sup>4</sup>

კონსენსუალობის პრინციპის მიხედვით საკუთრება მხოლოდ ვალდებულების ძალით გადადის. იმ ქვეყნებში სადაც კონსენსუალობის პრინციპი მოქმედებს ასევე გავრცელებულია ერთიანობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ვალდებულებითი გარიგება, საკმარისია სანივთო სამართლებრივი მდგომარეობის შესაცვლელად.<sup>5</sup> აღნიშნული პრინციპი მოქმედებს ინგლისსა და საფრანგეთში. მის საპირისპიროდ არსებობს ტრადიციის პრინციპი, რომლის მიხედვითაც საკუთრების გადასაცემად ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების გარდა, აუცილებელია ასევე ნივთზე მფლობელობის გადაცემა.<sup>6</sup>

არსებობს მკვეთრად განსხვავებული მიდგომა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის მომწესრიგებელ კანონმდებლობათა შორის, აღნიშნული მიდგომა ჩამოყალიბებულია გერმანიის სამოქალაქო სამართალში. იგი ცნობილია „გამიჯვნის პრინციპი“-ს სახელით და მის მიხედვით არსებობს არა მხოლოდ ვალდებულებითი, არამედ ასევე სანივთო გარიგებაც და საკუთრების გადაცემა ხდება სწორედ ამ სანივთო გარიგებით. საკუთრების უფლების გადასაცემად

<sup>3</sup> ეკატერინე ლაფაჩი. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 2016. 91.

<sup>4</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 2008. 12

<sup>5</sup> რუსიაშვილი გიორგი. 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში. შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, №1, 20.

<sup>6</sup> იქვე.

საკმარისი არ არის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლებას იძლევა, საკუთრების უფლების გადასაცემად დამატებით საჭიროა სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება - სანივთო გარიგება და ნივთის მფლობელობაში გადაცემა.<sup>7</sup>

კაუზალობის პრინციპის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სანივთო გარიგება გამიჯნულია ვალდებულებითისაგან, ეს უკანასკნელი მაინც არის მისი ნამდვილობის წინაპირობა, მისი კაუზა - ვალდებულებითი გარიგების ნამდვილობის გარეშე შეუძლებელია საკუთრების გადაცემა. კაუზალური სისტემის მიხედვით, ხელშეკრულებას თავისთავად გადააქვს საკუთრების უფლება ყოველგვარი სხვა სამართლებრივი აქტისა თუ დადგენილი ფორმალობის გარეშე. ხელშეკრულებათა თავიდანვე ბათილობა ან შემდგომში მათი ბათილად ცნობა ყველა შემთხვევაში შედეგად იწვევს იმას, რომ საკუთრების უფლება თავიდანვე ვერ გადადის შემძენზე. ითვლება, რომ შემძენი არასოდეს არ ყოფილა მესაკუთრე, რადგანაც თვით ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ საყოველთაო აღიარებით იგი მიიჩნევა, როგორც თავიდანვე არარსებული.<sup>8</sup>

საკუთრების უფლების გადაცემის აბსტრაქტული სისტემის შემთხვევაში საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება სპეციალური სამართლებრივი აქტის (გარიგების) მეშვეობით, რომელიც სრულად ემიჯნება ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებას. ეს უკანასკნელი კი ემსახურება საკუთრების უფლების გადაცემის აქტს, როგორც მისი სამართლებრივი საფუძველი - „Causa traditionis“ მაგრამ სამართლებრივად საკუთრების უფლების გადაცემის აქტი დამოუკიდებელია მისგან. ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის ბათილობა საკუთრების უფლების გადაცემის აქტს არ ეხება და არ

<sup>7</sup> Markesinis/Unberath/Johnsto. The German Law of Contract. 2nd Edition. (Oxford and Portland, Oregon, 2006) 29.

<sup>8</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 2008. 101-102

აბათილებს მას. შესაბამისად, საკუთრების უფლება შემძენზე მაინც გადადის. აბსტრაქტული სისტემის დროს Causa traditionis -ის გაბათილების შემთხვევაშიც კი შემძენი რჩება მესაკუთრე და, მაშასადამე, უფლებამოსილი, გაასხვისოს ნივთი სხვა პირზე. კაუზალური სისტემის მიხედვით შემძენის ანალოგიური მოქმედება სამართლებრივი ძალის მქონე არ იქნება, ვინაიდან შემძენი თავიდანვე არ გამხდარა მესაკუთრე და, შესაბამისად, არ იყო უფლებამოსილი გასხვისებაზე.<sup>9</sup>

მოდრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის მოწესრიგებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა არჩევანი გააკეთა ე.წ შუალედური-ტრადიციისა და კაუზალური სისტემის სასარგებლოდ.<sup>10</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში ერთმნიშვნელოვნადაა გამყარებული ვალდებულებითი მოთხოვნის აუცილებლობა (კაუზალური გარიგება) მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლისათვის, ისევე, როგორც თავად ნივთის გადაცემა (traditio). ამით აბსტრაქციის პრინციპის მოქმედება თავიდანვე გამორიცხულია.<sup>11</sup>

## **1. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით**

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მოძრავ ნივთზე საკუთრება წარმოიშობა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. რაც იმას გულისხმობს, რომ საკუთრების წარმოშობა არ არის დამოკიდებული მხარისთვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემაზე.

---

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. 2004. საკუთრების უფლების გადაცემა უძრავ ნივთზე. ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I, 90-98.

<sup>11</sup> რუსიაშვილი გიორგი. 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, №1, 20

საფრანგეთში მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემა მოიცავს ორი უმნიშვნელოვანეს პრინციპს - კონსენსუალობის პრინციპი - (solo consensu) და კაუზალურობის პრინციპი. საფრანგეთში მოქმედებს ე.წ ერთიანობის პრინციპი, რომლის პირობებშიც არ ხდება ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულებების დაყოფა და ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება, მაგალითად, ნასყიდობა და ნივთის გადაცემა, განიხილება ერთიან აქტად.<sup>12</sup> ზემოაღნიშნულ სისტემას საფუძველი 1804 წელს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიღებით ჩაეყარა.<sup>13</sup>

„ერთიანობის პრინციპის“ შესაბამისად საკუთრების უფლების გადასვლის თვალსაზრისით, ხელშეკრულების დადების მომენტს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმით ხორციელდება, მაგრამ საკუთრების უფლების გადაცემასთან მიმართებით მოცემული თემის ინტერესის სფეროში შედის ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია მათი დადების წესის საფუძველზე. ამ ნიშნის მიხედვით, ფრანგული სამართალი ხელშეკრულებებს სამ კატეგორიად ყოფს, კერძოდ: კონსენსუალურ, სავალდებულო ფორმის (კანონით დადგენილ) და რეალურ ხელშეკრულებებად.<sup>14</sup>

იმდენად, რამდენადაც ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემას ახდენს მხარეთა შორის დადებული ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების ბათილობა შედეგად იწვევს იმას, რომ გამსხვისებელი რჩება მისი მესაკუთრე, ხოლო შემდგომში კი საკუთრების უფლება არასოდეს არ მიიჩნევა გადასულად. მაშასადამე, შესაძლებელია ითქვას, რომ ფრანგული გადაცემის სისტემა კაუზალურია.<sup>15</sup> გარიგება მიიჩნევა კაუზალურად, თუ მისგან

---

<sup>12</sup> ჭანტურია ლადო. უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებით სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე. სადისერტაციო ნაშრომი 1994. 155

<sup>13</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I. თბილისი. 2004. 91.

<sup>14</sup> დანელია ეკატერინე. გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე. ქართული სამართლის მიმოხილვა. სპეციალური გამოცემა. 2008. 40

<sup>15</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემა. ქართული კერძო სამართლის კრებული I. თბილისი 2004. 90



გამომდინარეობს გარიგების მიზანი, სამართლებრივი საფუძველი (causa). ე.ი. კაუზალურია გარიგება, რომელსაც აქვს კონკრეტული, ხელშესახები სამართლებრივი საფუძველი - კაუზა, მიზანი.<sup>16</sup>

კონსესუალურობის პრინციპის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფსკ - ის 1138 მუხლი

ფსკ 1138-ე მუხლის თანახმად:

- “ნივთის გადაცემის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება ხელშეკრულების მხარეთა შორის შეთანხმების ძალით. იგი კრედიტორს აქცევს მესაკუთრედ და აკისრებს მას რისკს იმ მომენტიდან, როდესაც ნივთი უნდა გადაცემულიყო, თუნდაც მფლობელობაში გადაცემა ჯერ არ მომხდარა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალემ გადააცილა ნივთის გადაცემის ვადას; ამ შემთხვევაში ნივთი რჩება ამ უკანასკნელის რისკზე”.<sup>17</sup>

კონსესუალურობის პრინციპის მოქმედების კიდევ ერთი მაგალითია ფსკ-ის ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმა:

ფსკ-ის 1583-ე მუხლის მიხედვით

- „ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაშია და საკუთრება მყიდველზე გადადის იმ მომენტიდან, როცა მხარეები შეთანხმდებიან ნივთზე და მის ფასზე, მაშინაც კი, როცა ნივთი ჯერ არ არის გადაცემული და ფასი ჯერ არ არის გადახდილი. ნასყიდობის ხელშეკრულება უკვე იწვევს საკუთრების გადასვლას.“<sup>18</sup>

მნიშვნელოვანია გამოვყოთ „ერთიანობის პრინციპის“ დადებითი მხარეები. იგი მდგომარეობს იმაში, რომ მისი მიხედვით საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე გამარტივებულია, რადგან კრედიტორი (შემძენი)

<sup>16</sup> ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, (თბილისი: მერიდიანი, 2011). 311

<sup>17</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი

[https://www.legifrance.gouv.fr/content/download/1950/13681/version/3/file/Code\\_22.pdf](https://www.legifrance.gouv.fr/content/download/1950/13681/version/3/file/Code_22.pdf) (20.06.2020)

<sup>18</sup> იქვე.

რომისსამართლისეული traditio-ს გარეშეც ხდება მესაკუთრე. ამ სისტემის უარყოფითი მხარე კი მდგომარეობს იმაში, რომ მოძრავი ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი შემძენზე გადადის შეთანხმების მომენტიდან მის ფაქტიურ გადაცემამდე. კოსექსში მოცემული ამ რეგულაციის ნეგატიური მხარე, გარკვეულ შემთხვევებში, გარკვეულწილად კომპენსირდება, მაგალითად, თუკი მოვალე პარალელურად წარმოადგენს კრედიტორს, შემძენისათვის ხელსაყრელია, რომ გასხვისებული ნივთი არ შევა გაკოტრების მასაში, შემძენი ჩაითვლება „საკუთრების კრედიტორად“ და მასვე ექნება უფლება გამოითხოვოს ნივთი გაკოტრების მასიდან.<sup>19</sup> ასევე საყურადღებოა, რომ ფრანგული სამართლის მიხედვით, ორ შემძენს შორის უპირატესობა ენიჭება მას, ვინც პირველმა მიიღო მფლობელობა.<sup>20</sup>

მიუხედავად იმისა რომ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი მკვეთრად განამტკიცებს „ერთიანობის პრინციპს“, არსებობს შემთხვევები რომლებსაც შეგვიძლია ვუწოდოთ გამონაკლისები აღნიშნული პრინციპისგან. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს საკუთრების უფლების გადაცემა მომავალ ნივთებზე. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1130 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მომავალი ნივთები ვალდებულების საგნებად არის აღიარებული. თუმცა, საკუთრების უფლება არ გადადის ხელშეკრულების დადების მომენტიდან, არამედ ნივთის შექმნის ან წარმოშობის, შემძენის მფლობელობაში მისი გადაცემისა და ამ უკანასკნელის მიერ მისი მიღების მომენტიდან.<sup>21</sup>

ფრანგულ სამართალში საკუთრების უფლების გადასვლა და ხელშეკრულების დადებასთან ერთად კომბინირებულად არ ხორციელდება. ისინი ცალსახად უარყოფენ გერმანულ სამართალში მოქმედ აბსტრაქციის პრინციპს თუმცა ამის გამო ხშირად უწევთ კონსენსუალობა-ერთიანობის პრინციპიდან გამონაკლისის

<sup>19</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. სანივთო სამართალი, (თბილისი: 2010) 164.

<sup>20</sup> ჭანტურია ლადო. 2001 უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა 189.

<sup>21</sup> ზ. ჭეჭელაშვილი. 2004 მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემა. ქართული კერძო სამართლის კრებული I. მითითება ნაშრომში (სქოლიო 4) საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს 1900 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება.

დაშვება.<sup>22</sup> უნდა აღინიშნოს რომ კონსენსუალურობის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ ინდივიდიუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთების მიმართ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება მათი ევროპული ქვეყნების სამართლებრივი სისტემების მსგავსად, ფრანგულ სანივთო სამართალიც ეფუძნება განსაზღვრულობის პრინციპს.<sup>23</sup>

კანონმდებელმა მომავალ ნივთებთან მიმართებაში საკუთრების უფლების გადაცემისთვის სავალდებულო პირობათა კუმულაციური ერთობლიობა შემოგვთავაზა და განმარტა, რომ საკუთრების უფლების გადასვლისთვის ხელშეკრულებასთან უნდა არსებობდეს ნივთის შექმნის ან წარმოშობის, შემძენის მფლობელობაში გადაცემისა და ამ უკანასკნელის მიერ მისი მიღების ფაქტი.<sup>24</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ფრანგულ სამართალში მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით მოქმედი სისტემის მიუხედავად პრაქტიკაში და არა მარტო პრაქტიკაში არსებული მრავალი გამონაკლისის გამო, კონსენსუალურობის პრინციპი ნაკლებად ეფექტური ხდება და შეიძლება ითქვას, სისტემა მეტად იხრება ტრადიციის პრინციპისაკენ.

## **2. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით**

გერმანულ სამართალში მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის სამ მნიშვნელოვან პრინციპს ეფუძნება: გამიჯვნის პრინციპი რომელიც განასხვავებს ერთმანეთისაგან ვალეზულებით სამართლებრივ გარიგებას და საკუთრების

---

<sup>22</sup> რუსიაშვილი გიორგი. 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში. შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი. №1. 36.

<sup>23</sup> Van Vliet, L., Transfer of Movables in German, French, English and Dutch Law ,( Nijmegen , 2000) 34.

<sup>24</sup> რუსიაშვილი გიორგი. 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში. შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი. №1. 36.

განკარგვის გარიგებას, აბსტრაქციის პრინციპი რომლის თანახმად საკუთრების გადაცემის ნადვილობა არ არის დამოკიდებული ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების ნადვილობაზე და ტრადიციის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად საკამარისი არ არის საკუთრების გადაცემაზე მხარეთა შეთანხმება, არამედ დამატებით საჭიროა ნივთის ფლობელობაში გადაცემა.

აბსტრაქტული სანივთო ხელშეკრულების შემოღება დაკავშირებულია ცნობილი პანდექტიკის სავინის სახელთან, მისი მოძღვრებით სანივთო გარიგება მიმართულია საკუთრების გადატანისკენ.<sup>25</sup> საკუთრების უფლების გადაცემის აბსტრაქტული სისტემის მიხედვით, რომელიც გერმანული სამოქალაქო კოდექსის ნაწილია, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისთვის მხარეთა შორის აუცილებელია საკუთრების უფლების გადაცემის აქტის არსებობა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 929. პარაგრაფის მიხედვით:

„მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს და ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე. თუ ნივთს ფლობს შემძენი, მაშინ საკამარისია საკუთრების უფლების გადასვლაზე შეთანხმება.“

„კანონმდებელი ამ ნორმაში პირდაპირ უთითებს მხარეთა შორის დადებული სანივთო შეთანხმებასა და ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემაზე, მაგრამ არ ითხოვს ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სანივთო შეთანხმებას.“<sup>26</sup>

გერმანული სამართლის მიხედვით არსებობს მკვეთრ მიჯნა მავალდებულებელ და განკარგვით გარიგებებს შორის. იმ გარიგებას, რომელსაც ფრანგულ სამართალში გადააქვს საკუთრების უფლება შემძენზე (ნასყიდობა,

<sup>25</sup> ჭანტურია ლადო. უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა. (თბილისი, 2001) 152-153

<sup>26</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. 2004 საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე. ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I. 95

ჩუქება, გაცვლა), გერმანული სამართლის მეცნიერება მავალდებულებელ (ვალდებულებით-სამართლებრივ) გარიგებად მიიჩნევს, რადგანაც ამ დროს ხდება ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების საგნის შესრულების შეპირება.<sup>27</sup> გერმანული სამართალი გამოყოფს ერთი მხრივ ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებას, რომლითაც წარმოიშობა საკუთრების გადაცემის ვალდებულება და მეორე მხრივ, სანივთო-სამართლებრივ გარიგებას, იგივე განკარგვის გარიგებას, რომლითაც საკუთრივ ხორციელდება საკუთრების უფლების გადაცემა. მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისათვის გერმანული სამართალი იცნობს განსაკუთრებულ განკარგვის გარიგებას - “სანივთო შეთანხმებას” ქვემოთ გვექნება საუბარი.<sup>28</sup>

აბსტრაქციის სისტემაში მავალდებულებელი გარიგებები არ არის საკმარისი იმისთვის რომ საკუთრების უფლება გადავიდეს რადგან ისინი არ მოიცავენ სანივთო შეთანხმებებს, რომლებიც წარმოადგენენ საკუთრების უფლების ე.წ. გადამტან, დამოუკიდებელ გარიგებებს. მოცემულ სანივთო გარიგებებს უწოდებენ სწორედ განმკარგავ გარიგებებს, რომელთა მიმართაც მოქმედებს ე.წ. პრიორიტეტის პრინციპი (Prioritaetsgrundsatz), რომელიც პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად პირებს შორის დადებული მავალდებულებელი გარიგების ნამდვილობისა, საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია სახეზე იყოს ნამდვილი განმკარგავი გარიგება.<sup>29</sup> გამომდინარე იქედან, რომ საფუძველი (კაუზა) განკარგვითი გარიგებისა არ არის დამოკიდებული მავალდებულებელ გარიგებაზე, იმ შემთხვევაში, თუ მავალდებულებელი გარიგება არ იქნება ნამდვილი, საკუთრების უფლება შემძენზე განკარგვითი გარიგების საფუძველზე მაინც გადასულად ჩაითვლება.<sup>30</sup> შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანული კანონდებლობა მიჯნავს იმ ვალდებულებით-სამართლებრივი

---

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. 2004 საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე. ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I. 95

<sup>29</sup> ასათიანი თამარ. 2013 მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) . 49

<sup>30</sup> იქვე.

ხელშეკრულებას, რომელიც საკუთრების უფლების განკარგვის ვალდებულებას წარმოშობს და სანივთოსამართლებრივ ხელშეკრულებას.<sup>31</sup> აღნიშნული პრინციპი „გამიჯვნის პრინციპი“-ს სახელით არის ცნობილი თანამედროვე იურისპრუდენციაში.

გამიჯვნის პრინციპით ერთმანეთისაგან იმიჯნება ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა საკუთრების განკარგვის ვალდებულება და სანივთო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც რეალურად გადაეცემა საკუთრების უფლება. გარიგებათა ამგვარი კლასიფიკაცია მიღებულია გერმანულ სამართალში.<sup>32</sup> „პირს შეუძლია ისარგებლოს პირადი ან სანივთო უფლებებით შესაბამისად უნდა დაიდოს მიჯნა ორ განსხვავებულ ნებას შორის სადაც ერთი მათგანი წარმოშობს ვალდებულებით ხოლო მეორე - სანივთო უფლებას.<sup>33</sup>

გერმანიის სამართალში აღიარებული გამიჯვნის პრინციპის მოქმედებით, უარი ეთქვა ითქვა „კაუზას“ აუცილებლობაზე და ჩამოყალიბდა აბსტრაქციის პრინციპი. აბსტრაქციის პრინციპის არსებობა, ცხადია, გულისხმობს გამიჯვნის პრინციპის არსებობას, თუმცა მისგან არ გამომდინარეობს.<sup>34</sup> გამიჯვნის პრინციპი, პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ განკარგვა წარმოადგენს დამოუკიდებელ გარიგებას, რომელიც ფაქტობრივად შეიძლება ემთხვეოდეს მავალდებულებელ შეთანხმებას, თუმცა სამართლებრივად, როგორც დამოუკიდებელი გარიგება, ისე უნდა შეფასდეს.<sup>35</sup>

---

<sup>31</sup> დანელია ეკატერინე. 2008 გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა. სპეციალური გამოცემა. 32

<sup>32</sup> ლაფაჩი ეკატერინე. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე/ სადისერტაციო ნაშრომი. 2016, 92

<sup>33</sup> რუსიაშვილი გიორგი, 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, №1, 35 მითითება (სქოლიო 123) / Füller, Eigenständiges Sachenrecht? ზემოთ სქ. 8, 121; Molkensteller, Die These vom dinglichen Vertrag, ზემოთ სქ. 4, 106-ე და მომდევნო გვერდი; Stadler, Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion, ზემოთ სქ. 6, 49.

<sup>34</sup> *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract*, 2006, 28.

<sup>35</sup> A. Stadler, *Gestaltungsfreiheit und Verkehrsschutz durch Abstraktion*, (Tübingen 1996) 7. გამოყენებულია ნაშრომში რუსიაშვილი გიორგი, 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, №1, 21

განკარგვითი გარიგების იურიდიული გამოხატულებაა სანივთო გარიგება. სანივთო გარიგება არის აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ხდება სანივთო უფლების გადაცემა, შეცვლა ან შეწყვეტა. მაშასადამე, უშუალოდ უფლებაზე ზემოქმედება და დგება სანივთო სამართლებრივი შედეგი.<sup>36</sup>

აბსტრაქციის სისტემაში საკუთრების გადაცემა არ საჭიროებს ვალდებულებით-სამართლებრივ საფუძველს, ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობისას ანუ როცა ქონების გადაცემა ხდება უსაფუძვლოდ, საკუთრების უფლების გადაცემა მაინც ნამდვილობას ინარჩუნებს.<sup>37</sup> აქედან გამომდინარე სანივთო გარიგების ძალით შემძენზე გადადის საკუთრების უფლება იმ შემთხვევაშიც კი თუ ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება ბათილია განსხვავებით კაუზალური სისტემისაგან, რომელიც მართალია აღიარებს სანივთო გარიგების არსებობას თუმცა მის ნამდვილობას უკავშირებს კაუზას - ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების ნამდვილობას.

მიუხედავად იმისა, რომ კაუზალურ სისტემაში ხდება სანივთო შეთანხმების დაკავშირება ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებასთან და გარეგნულად კაუზალურ გარიგებას ემსგავსება, იგი მაინც ინარჩუნებს „შინაგან“ აბსტრაქტულობას. ამრიგად, ის „შინაგანად“ აბსტრაქტულია, რადგან მაინც არ მოიცავს თავის თავში მისი დადების საფუძველს.<sup>38</sup>

მხარეები თავისუფალნი არიან აირჩიონ რა ფორმით დადებენ სანივთო შეთანხმებას არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება წერილობით, ზეპირად თუ კონკლუდენტური მოქმედებაში გამოხატული, მხოლოდ და მხოლოდ საკმარისია შეთანხმება აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის პრინციპის.<sup>39</sup> განსაზღვრულობა, როგორც წესი, უნდა არსებობდეს სანივთო შეთანხმების დადების მომენტში, ანუ

<sup>36</sup> თოთლაძე ლევან, 186 მუხლის კომენტარები, ველი 8

<sup>37</sup> Matthias E. Storme, *Property Law in a Comparative Perspective*, (seventh edition, KU Leuven Centre for Advanced Legal Studies, 2002) 77.

<sup>38</sup> გაჩეჩილაძე თეონა. 2017, სანივთო გარიგება - მოძრავი ნივთის გასხვისების „უხილავი“ ელემენტი. ადვოკატი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი. № 1-2, 33

<sup>39</sup> იქვე. 32

სწორედ იმ მომენტში, როდესაც ნებისმიერ პირს, რომელმაც იცის შეთანხმების შესახებ, დაზუსტებით შეეძლოს იმის დადგენა, თუ რომელი საგნები უნდა გასხვისდეს.<sup>40</sup> როდესაც ადგილი აქვს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებზე საკუთრები უფლების გადაცემას, ნივთების განსაზღვრა სწორედ სანივთო შეთანხმებით ხორციელდება.<sup>41</sup>

მხოლოდ იშვიათად ხდება სანივთო გარიგების ცალსახად დადება. ის ხშირად მხარეთა კონკლუდენტური ნების გამოვლენის შედეგია. კონკრეტულ შემთხვევაში, სანივთო გარიგების მოცემულობა ნების გამოვლენის განმარტების გზით უნდა დადგინდეს. ასე, მაგალითად მყიდველისთვის ნივთის საცხოვრებელს ადგილზე გაგზავნა შეიძლება შეფასდეს ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის ოფერტად, საქონლის მიღება, საქონლის მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მყიდველი აქცეპტს გამოხატავს და საკუთრებას მოიპოვებს. თუ მყიდველი ნივთს გამოიყენებს ან თუ იგი გადაიხდის ნივთის საფასურს, მაშინ იგი კონკლუდენტურად გამოხატავს თანხმობას საკუთრების უფლების გადაცემაზე.<sup>42</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა შემთხვევები, როცა მოძრავი ნივთების შემქმნისას მფლობელობაში გადაცემაუცილებელი არ არის. კერძოდ:

1. §929-ის მე-2 წინადადების თანახმად, “თუ შემქმნი უკვე ფლობს ნივთს, მაშინ საკმარისია მხოლოდ სანივთო შეთანხმება”.

2. გსკ-ის § 930 პარაგრაფის მიხედვით : „შეთანხმება არაპირდაპირი მფლობელობის დადგენისას, თუ ნივთს ფლობს მესაკუთრე, ნივთის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს იმით, რომ მასა და შემქმნს შორის შეთანხმებულ იქნეს სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც შემქმნი იძენს არაპირდაპირ მფლობელობას.“ ეს არის შემთხვევა როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ ნივთი რჩება

<sup>40</sup> კროპპოლერი იან. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. (თბილისი მე-13 გადამუშავებული გამოცემა, 2014) გვ. 700.

<sup>41</sup> Van Vliet, L, Transfer of Movables in German, French, English and Dutch Law , Nijmegen , 2000,35

<sup>42</sup> თოთლაძე ლევან. 186 მუხლის კომენტარები. ველი 4



გამსხვისებელთან, რომელიც ნივთს ფლობს სხვისთვის, ხოლო შემძენი ხდება ნივთის არაპირდაპირი მფლობელი თავისი თავისთვის.

### 3. გსკ-ის § 931 პარაგრაფის მიხედვით

„თუ ნივთს ფლობს მესამე პირი, მაშინ გადაცემა შეიძლება შეიცვალოს იმით, რომ მესაკუთრე შემძენს დაუთმობს მოთხოვნის უფლებას ნივთის გამოთხოვაზე.“ ამ პარაგრაფში საუბარია ნივთის სხვისი მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნის უფლებაზე როგორც სანივთო სარჩელის უფლებაზე, თუმცა, თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში ერთხმად აღიარებულია, რომ ისეთი სარჩელის უფლება, როგორცაა სავინდიკაციო სარჩელის უფლება, არ შეიძლება გადაცემულ იქნას საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებლად.<sup>43</sup>

აბსტრაქციის პრინციპი მოუქნელობის გამო ხშირად კრიტიკის ობიექტია. თუმცა გერმანელები მისი არსებობის აუცილებლობის დასაბუთებისას არგუმენტად იყენებენ მესამე პირთა ინტერესების დაცვას და სამართლებრივი სიცხადის შექმნას.<sup>44</sup> განკარგვის პრინციპის უარყოფა გერმანულ სამართალში სრულებით წარმოუდგენელია რადგან ის არის სწორედ მთავარი საყრდენი რასაც ემყარება დამოუკიდებელი სანივთო სამართალი.<sup>45</sup> ფრანგები შეგნებულად უარყოფენ სანივთო სამართლის დამოუკიდებლობას და სისტემა ვალდებულებითი კაუზის გარშემო აგებენ. აღნიშნული ორი ხედვა სრულიად ალტერნატიულია ერთმანეთთან მიმართებაში. ამ ორი სისტემის ერთმანეთში

---

<sup>43</sup> Staundinger-Wiegand, 1995; Staundinger-Gursky, 1993; Münchener-Quack; Münchener-Medicus, vuTiTeb: L. P. W. van Vliet – Transfer of movables in German, French, English and Dutch law, Ars Aequi Libri, Nijmegen, 2000 მითითებულია ნაშრომში ჰეკელაშვილი ზურაბ, 2004 საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, (სქოლიო 2)

<sup>44</sup>Markesinis/Unberath/Jountson, The German Law of Contract, 2006, S. 27; მითითებულია ნაშრომში: დანელია ეკატერინე, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 35.

<sup>45</sup> F. C. v. Savigny, System des heutigen Römischen Rechts, Band III, Berlin 1840, 312-ე და მომდევნო გვერდი, W. Felgentraeger, Friedrich Carl v. Savignys Einfluß auf die Übereignungslehre, Leipzig 1927, 31-ე და მომდევნო გვერდები მითითებულია ნაშრომში: რუსიაშვილი გიორგი, 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, №1, 21

შერევა, რომელიც სახეზე გვაქვს ქართულ სამართალში ცალსახად გაუაზრებელი პრინციპებისა და ამოუხსნელ შემთხვევათა ერთობლიობას წარმოადგენს.<sup>46</sup>

---

<sup>46</sup> რუსიაშვილი გიორგი. 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში. შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი. №1, 35

## თავი II. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის ელემენტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილი მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის საფუძვლებს შემდეგნაირად არეგულირებს : „მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი.“<sup>47</sup> მუხლის შინაარსიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს რომ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით ე.წ შუღედური (კაუზალური და ტრადიციის) სისტემა იქნა გაზიარებული.

სსკ-ის 186-ე მუხლის მიხედვით მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნა სამი ელემენტისგან შედგება ესენია: 1. გამსხვისებელი უნდა იყოს მესაკუთრე 2. ნივთის გასხვისება უნდა განხორციელდეს „ნამდვილი უფლება“-ის საფუძველზე და 3. ნივთი უნდა გადაეცემა გადაეცეს შემძენს .

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელი იურიდიული ფაქტის საფუძველზე ხდება საკუთრების უფლების წარმოშობა.<sup>48</sup>

### 1. საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტი

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადამცემ უფლებამოსილ სუბიექტად საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ნივთის მესაკუთრეს განსაზღვრავს. თუმცა სამოქალაქო კოდექსი იცნობს შემთხვევებსაც როდესაც მესაკუთრის გარდა საკუთრებს უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე შეუძლიათ

<sup>47</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 186-ე მუხლი, 1 ნაწილი. matsne.gov.ge (05.06.2020)

<sup>48</sup> შოთაძე თამარ, სანივთო სამართალი, (თბილისი: “მერიდიანი“ 2014 წელი) 173

განახორციელონ მესამე პირებმაც. ნივთის განკარგვის უფლებამოსილება მესამე პირს შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს მესაკუთრის მიერ წინასწარი თანხმობის საფუძველზე (სსკ-ის 100, 102 მუხლები) ან მესაკუთრის შემდგომი თანხმობით (სსკ-ის 101 მუხლი).<sup>49</sup> აგრეთვე, სსკ-ის 504-ე მუხლის მიხედვით ნივთის შემნახველს უფლება აქვს გაყიდოს ნივთი გარკვეული წინაპირობების არსებობისას, კერძოდ, თუ ნივთი მალფუჭებადია ან მას გაუფასურება მოელის აგრეთვე თუ მისი შენახვა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამრიგად, 186-ე მუხლის ჩანაწერი მესაკუთრის შესახებ უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ, ვიდრე ეს სიტყვა-სიტყვითაა მოცემული.<sup>50</sup> სსკ-ის 186-ე მუხლში საუბარი უნდა იყოს სულ მცირე ნივთის გასხვისებაზე „უფლებამოსილ პირზე“ (ან უბრალოდ გამსხვისებელზე) და არა მესაკუთრეზე.<sup>51</sup>

## 2. „ნამდვილი უფლება“

სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მიუთითებს, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე უნდა გადასცეს შემძენს ნივთი. მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს ნამდვილი უფლების ქვეშ არსებობს მოსაზრება, რომ „ნამდვილ უფლებაში“ უნდა მოიაზრებოდეს საკუთრების უფლების გადაცემის ნამდვილი საფუძველი. სხვაგვარად რომ ითქვას, საკუთრების გადაცემისათვის საჭიროა გარკვეული საფუძველი, რომელიც შეუძლებელია თავისთავად გამომდინარეობდეს საკუთრების გადაცემიდან, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, საკუთრების გადაცემა თავის თავში არ შეიცავს

<sup>49</sup> თოთლაძე ლევან, 186 მუხლის კომენტარები, ველი 13

<sup>50</sup> გაჩეჩილაძე თეონა. 2017. სანივთო გარიგება - მოძრავი ნივთის გასხვისების „უხილავი“ ელემენტი, ადვოკატი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი, № 1-2, 32

<sup>51</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. სანივთო სამართალი (თბილისი, „ბონა კაუზა“, 2017) 200-201

გადაცემის საფუძველს.<sup>52</sup> აღნიშნული ჩანაწერი ცალსახად უთითებს კაუზალობის სისტემის მოქმედებაზე ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაში.

„ნამდვილ უფლებაში“ იგულისხმება საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლება, რომელსაც საფუძველად შეიძლება ედოს როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერი ვალდებულებები.

ვინაიდან, საკუთრების უფლების გადაცემა თავის თავში არ შეიცავს გადაცემის საფუძველს, ნამდვილი უფლება შეიძლება იყოს ნამდვილი სამართლებრივი საფუძველი, მაგალითად ნამდვილი ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე წარმოშობილი უფლება და არა სანივთო უფლება.<sup>53</sup> „ნამდვილ უფლებაში“ ან ვალდებულებით ან სანივთო გარიგებას და ან საკუთრების უფლებას. გამსხვისებელმა, რომელიც უნდა იყოს მესაკუთრე ან მისგან გასხვისების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი (რადგან, ცნობილი აქსიომის თანახმად, არავის აქვს უფლება სხვას გადასცეს იმაზე მეტი უფლება, ვიდრე თავად გააჩნია), ნამდვილ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით უნდა განახორციელოს ნივთის გადაცემა შემძენისთვის. ამ შემთხვევაში კაუზა შესაძლოა, იყოს, როგორც ნამდვილი ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება, ასევე კანონი.<sup>54</sup> ვინაიდან მოძრავ ნივთზე გამსხვისებლის მესაკუთრედ ყოფნის შემოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია, კანონმდებელმა გამსხვისებელს დააკისრა კანონისმიერი ვალდებულება, რომ უფლება, რომელიც მას აძლევს მოძრავი ნივთის განკარგვის შესაძლებლობას, მართლზომიერი გზით ჰქონდეს მოპოვებული.<sup>55</sup>

---

<sup>52</sup>ჭეჭელაშვილი ზურაბ. 2004, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I. 97

<sup>53</sup> ჭითანავა ნატო, 2018. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სამართლებრივი ასპექტები, აკადემიური მაცნე. 106

<sup>54</sup> ქოჩაშვილი ქეთევანი. მფლობელობა, როგორც საკუთრების პრეზუმფციის საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი 2012. 107

<sup>55</sup> იქვე, 117.

### 3. ნივთის გადაცემა

სსკ-ს 186-ე მუხლის პირველი ნაწილი საკუთრებს უფლების გადასვლის ელემენტად ასევე მოიაზრებს ნივთის გადაცემას. თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, ქართული სამოქალაქო კოდექსი არაფერს ამბობს გსკ-ის §929-ე პარაგრაფში მოცემულ საკუთრების უფლების გადასვლის - სანივთო შეთანხმებაზე.

მომრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა სსკ-ის 186 მუხლის მიხედვით შესაბამის შეთანხმებასთან ერთად საჭიროებს ნივთის გადაცემას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი გვთავაზობს ნივთის გადაცემს სახეებს - „ნივთის გადაცემად ითვლება: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება“<sup>56</sup>

186-ე მუხლის მეორე ნაწილი ნივთის გადაცემას შემდეგნაირად განმარტავს: `ნივთის გადაცემად ითვლება: შემძენისთვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.

შემძენისათვის ნივთის გადაცემა პირდაპირ მფლობელობაში გულისხმობს, რომ ნივთი გადადის შემძენის ფაქტობრივ მფლობელობაში. მაშასადამე, ის სრულიად გადის გამსხვისებლის ბატონობიდან და მას აღარ რჩება არანაირი ნაწილი მფლობელობისა აღნიშნულ ნივთზე.<sup>57</sup> ნივთზე პირდაპირი

<sup>56</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186 მუხლის მეორე ნაწილი matsne.gov.ge (08.06.2020)

<sup>57</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. სანივთო სამართალი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა. (თბილისი, „ბონა კაუზა“ 2009) 194

მფლობელობის გადაცემა ნიშნავს მესაკუთრის მიერ ნივთზე მფლობელობის სრულ და საბოლოო დაკარგავს ისე, რომ არ არსებობს რაიმე გარემოება ან სიმბოლური ქმედება, რომელიც საეჭვოს ხდის მფლობელობის გადაცემას.<sup>58</sup> რაც შეეხება არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემას ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება კვლავ დარჩეს პირდაპირ მფლობელად, ამ შემთხვევაში მხარეების შეთანხმების საგანს წარმოადგენს გარკვეული ვადით ნივთის გამსხვისებლის პირდაპირ მფლობელობაში დარჩენა, რის შემდეგაც ნივთის არაპირდაპირი მფლობელი ხდება შემძენი. მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭების შემთხვევაში სახეზე გვაქვს სსკ-ით გათვალისწინებული მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტს მოქმედება. მოცემულობა შემდეგნაირია: ნივთი არ იმყოფება გამსხვისებლის პირდაპირ მფლობელობაში, არამედ იგი მესამე პირის პირდაპირ მფლობელობაშია შესაბამისად გამსხვისებელსა და შემძენს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე გამსხვისებელი უთმობს მესამე პირისგან ნივთის მოთხოვნის უფლებას შემძენს. შემძენი გამსხვისებელთან შეთანხმებით ავტომატურად იძენს უფლებას თავად მოსთხოვოს ნივთი მესამე პირს.<sup>59</sup>

სსკ-ის 186-ე მუხლით არ არის მოწესრიგებული ის შემთხვევა, როდესაც ნივთი შემძენის პირდაპირ მფლობელობაშია ხელშეკრულების დადების მომენტში და შესაბამისად ადგილი არ აქვს მფლობელობის გადაცემას (ე.წ. „მოკლე ხელის“ გადაცემა).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ნივთის გადაცემაში გულისხმობს ნივთის ფაქტობრივ გადაცემას.<sup>60</sup> ამის მიუხედავად, სამართლებრივ

---

<sup>58</sup> (სქოლიო 36)

<sup>59</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. სანივთო სამართალი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა. (თბილისი, „ბონა კაუზა“ 2009) 197

<sup>60</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2015, 22 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba-d.pdf>, (20.06.2020) „... სამოქალაქო კოდექსის 186-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას. რეგისტრაციის განხორციელება არ

ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ნივთის გადაცემაში ერთდროულად უნდა მოიაზრებოდეს როგორც სანივთო-სამართლებრივი ხელშეკრულება, ისე ნივთის მფლობელობაში გადაცემა და მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის მომწესრიგებელ მუხლში საკუთრების გადაცემის თაობაზე შეთანხმების შესახებ მითითების არარსებობა ქართული კანონმდებლობის ხარვეზია. თუმცა არც სასამართლოს გადაწყვეტილებები და არც „სსკ-ის 186-ე II მუხლის არსებული ფორმულირება არ ტოვებს „გადაცემის“ ფართო გაგებით განმარტების შესაძლებლობას იმ თვალსაზრისით, რომ იგი დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა მოქმედება ჩაითვლება გადაცემად.

ამრიგად, სსკ-ს 186-ე მუხლი „გადაცემაში“ გულისხმობს ნივთის მხოლოდ ფაქტობრივი გადაცემას ანუ ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემას და სანივთო შეთანხმებაზე საუბარი ზედმეტია.

---

წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება.“ აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ მოძრავი ნივთზე (ავტომანქანა) საკუთრების უფლების გადაცემისთვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა საკმარისად მიიჩნია”.



### თავი III. სანივთო გარიგება როგორც სანივთო სამართლის დამოუკიდებლობის გარანტი

იმისთვის რომ სანივთო გარიგება აღიარებულ იქნეს, როგორც ვალდებულებითსამართლერივი გარიგებისგან დამოუკიდებელი გარიგება აუცილებელია იგი პირველ რიგში მართლწესრიგმა აღიაროს.<sup>61</sup> განვითარებული მართლწესრიგი, სადაც მოქმედებდა ტრადიციის პრინციპი და არ მოქმედებდა სანივთო გარიგება, რეალურად არ არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს.<sup>62</sup>

სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებებს შორის განსხვავება გერმანულ სამართალში მოქმედი აბსტრაქციის პრინციპის მოქმედების პირობებში ყველაზე მკაფიოდ იკვეთება. სანივთო გარიგება მართლწესრიგში გამიჯვნის პრინციპის მოქმედების შედეგია. გამიჯვნის პრინციპის მიხედვით განკარგვა წარმოადგენს დამოუკიდებელ გარიგებას რომელიც, ფაქტობრივი შემადგენლობის მხრივ, შეიძლება ემთხვეოდეს ვალდებულებით-სამართლებრივ შეთანხმებას, თუმცა სამართლებრივად, როგორც დამოუკიდებელი გარიგება ისე უნდა შეფასდეს.<sup>63</sup>

გერმანულ დოქტრინაში სანივთო გარიგებას მოიაზრებენ ვიწრო და ფართო გაგებით. ფართო გაგებით, ის განიხილება იურიდიულ შემადგენლობად, რომელიც დაკავშირებულია სანივთო უფლების მოძრაობასთან სანივთო ხელშეკრულებისა და ნივთის ფაქტობრივი გადაცემის ერთობლიობით, ხოლო ვიწრო გაგებით, სანივთო გარიგება მხოლოდ სანივთო ხელშეკრულებას (შეთანხმებას) გულისხმობს.<sup>64</sup>

<sup>61</sup> რუსიაშვილი გიორგი, სანივთო გარიგების მნიშვნელობა უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისას. შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი. 3/2019. 49

<sup>62</sup> რუსიაშვილი გიორგი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში შედარებითი სამართლის ჟურნალი თბილისი 1/2019, 35

<sup>63</sup> რუსიაშვილი გიორგი, სანივთო გარიგების მნიშვნელობა უცრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისას შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი თბილისი 3/2019, 45

<sup>64</sup> ქოჩაშვილი ქეთევნი, მფლობელობა, როგორც საკუთრების პრეზუმფციის საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2012, 107

სანივთო შეთანხმება, როგორც სანივთო ხელშეკრულება, უნდა იქნეს განხილული მის საფუძვლად არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებისაგან გამიჯნულად (მაგ., ნასყიდობა) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორივე ხელშეკრულება გარეგნულად ერთმანეთს ემთხვევა. სანივთო გარიგება აბსტრაქტულია, შესაბამისად, იგი არ საჭიროებს კაუზალური მიზნის განსაზღვრას და რჩება ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების ნამდვილობისაგან დამოუკიდებელი.<sup>65</sup> აბსტრაქციის პრინციპის მოქმედების პირობებში შემძენი იღებს საკუთრების უფლებას ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაშიც კი სანივთო გარიგების ძალით, განსხვავებით კაუზალური სისტემის გამიჯვნის პრინციპთან კომბინირებისა, რომლის პირობებში სანივთო გარიგება შედარებით „უხილავია“ და ეფუძნება მის ვალდებულებით-სამართლებრივ კაუზას, შესაბამისად, მისი ნამდვილობაც დამოკიდებულია ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის ნამდვილობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კაუზალურ სისტემაში ხდება სანივთო შეთანხმების დაკავშირება ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებასთან და გარეგნულად კაუზალურ გარიგებას ემსგავსება, იგი მაინც ინარჩუნებს „შინაგან“ აბსტრაქტულობას. ამრიგად, ის „შინაგანად“ აბსტრაქტულია, რადგან მაინც არ მოიცავს თავის თავში მისი დადების საფუძველს.<sup>66</sup>

ქართველ იურისტმეცნიერთა შორის დავის საგანს წარმოადგენს სანივთო გარიგების არსებობის საკითხი საკუთრების უფლების გადაცემის დროს. ერთი ნაწილის მოსაზრებით, საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება ვალდებულებით სამართლებრივი გარიგებისა და ნივთის გადაცემის საფუძველზე და აქ ადგილი არ აქვს სანივთო გარიგებას.<sup>67</sup> აღნიშნული პოზიციის გამყარების მიზნით გამოყენებულია ქართულ და გერმანულ სამოქალაქო კოდექსში მოცემულ

---

<sup>65</sup> იან კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, (თბილისი 2014) 700.

<sup>66</sup> გაჩეჩილაძე თეონა, სანივთო გარიგება - მოძრავი ნივთის გასხვისების „უხილავი“ ელემენტი, ადვოკატი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი, 2017წ. № 1-2. 33

<sup>67</sup> ზოიძე ბესარიონ, ქართული სანივთო სამართალი, (თბილისი, „მეცნიერება“, 2003,) 10

ნორმათა სიტყვა სიტყვითი შედარება და დასკვნის სახით ნათქვამია რომ განსხვავებით გსკ-ის §929-ე პარაგრაფისა სსკ-ის 186-ე მუხლი არ შეიცავს ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც საკუთრების „ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე“<sup>68</sup>, იურისტთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს რომ გარდა ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების არსებობისა და ნივთის გადაცემისა, აუცილებელია მხარეებს შორის არსებობდეს სანივთო შეთანხმება<sup>69</sup>.

დამოუკიდებელი სანივთო სამართლის იდეა, სანივთო უფლების კონცეპტთან ერთად შეუძლებელია არსებობდეს გამიჯვნის პრინციპის გარეშე. სწორედ გამიჯვნის – და არა აბსტრაქციის – პრინციპი იძენს აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას, რადგან სწორედ მის მიხედვით ხდება იმის განსაზღვრა, ექნება თუ არა სანივთო უფლებას დამოუკიდებელი სახე. აბსტრაქციის პრინციპი მხოლოდ მის შედეგებს აწესრიგებს.<sup>70</sup> იგი გულისხმობს სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების აბსტრაქტულობას კერძოდ მის დამოუკიდებლობას ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობისგან.<sup>71</sup>

სანივთო და ვალდებულებით სამართალს შორის გამიჯვნას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს აზრი, როდესაც აქ საქმე ეხება არა მხოლოდ ნორმატიული მასალის მექანიკურ დანაწევრებას, არამედ სამოქალაქო სამართლის ორ, არსობრივად განსხვავებულ, სფეროს. ეს განსხვავება კი შეიძლება მხოლოდ იმაში მდგომარეობდეს, რომ ვალდებულებითი სამართალი დაკავებულია ორ ან მეტ პირს შორის ურთიერთობის მოწესრიგებით, რომელიც მესამე პირებს პრინციპულად არ ეხება, მაშინ, როდესაც სანივთო სამართალი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც პრინციპულად ეხება მესამე პირებს,

---

<sup>68</sup> თოთლაძე ლევან, 186 მუხლის კომენტარები, ველი 8

<sup>69</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ. სანივთო სამართალი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა. მესამე გადამუშავებული გამოცემა. (თბილისი: „ბონა კაუზა“, 2014) 198; კერესელიძე დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, (თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი 2009) 218

<sup>70</sup> რუსიაშვილი გიორგი. 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, №1, 34

<sup>71</sup> დანელია ეკატერინე. 2008. გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა. 37

ანუ რომელსაც ამ ურთიერთობის მიღმა მყოფმა პირებმაც უნდა გაუწიონ ანგარიში.<sup>72</sup>

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია მოცემული გარიგებების ერთიანად განხილვა 139-ე პარაგრაფთან ურთიერთმიმართებით, მაგრამ აუცილებელია, რომ სახეზე იყოს ამისათვის საკმარისი წინაპირობები. კერძოდ, დასაშვებია მავალდებულებელი გარიგების დაკავშირება განკარგვით – სანივთო გარიგებასთან. ეს ის შემთხვევაა, მაგალითად როდესაც მხარეებს ეჭვი ეპარებათ მავალდებულებელი გარიგების ნამდვილობაში და გამომდინარე აქედან მას ხდიან დამოკიდებულს სანივთო გარიგებაზე. რაც მთავარია, მხარეებს შორის აღნიშნული შეთანხმება უნდა იყოს ნათლად გამოკვეთილი.<sup>73</sup>

---

<sup>72</sup> იქვე. 35

<sup>73</sup> Wolf, Manfred: Sachenrecht, 14.Auflage, Verlag C.H.Beck, München, 1999 176-177 მითითებულია ნაშრომში ასათიანი თამარ. 2013. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) . 50

## თავი IV. სანივთო გარიგება ქართულ სამოქალაქო სამართალში

არსებობს მოსაზრება, რომ ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა შესაძლებლობას არსებობდეს მიჯნა ვალდებულებითსამართლებრივ და სანივთო გარიგებას შორის. აღნიშნულის არგუმენტად მოხსენიებულია ფაქტი, რომ სსკ-ის 186 მუხლი არ ახსენებს სანივთო გარიგებას მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა რომ სსკ-ის ცალკეული ნორმების ფორმულირება ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს მიჯნაზე სანივთო გარიგების ელემენტებზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნორმების ფორმულირება და კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ფიგურები ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებენ მიჯნაზე სანივთო და ვალდებულებით გარიგებებს შორის<sup>74</sup>

უპირველესად განხილულ უნდა იქნას სსკ-ის 477-ე მუხლი, რომელიც ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებაა და ნასყიდობის ხელშეკრულების ვალდებულებებს განსაზღვრავს. ნასყიდობის ხელშეკრულების დროს ხელშეკრულების დადება და მის შესასრულებლად მფლობელობის გადაცემა არ არის საკმარისი საკუთრების გადასვლისათვის, არამედ ეს დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტით, კერძოდ სანივთო გარიგებით, უნდა მოხდეს.<sup>75</sup>

სანივთო გარიგება საკუთრების გადაცემა არ არის მოცული ნასყიდობის შეთანხმებით, რადგან, 477 I მუხლის მიხედვით, გამყიდველი კისრულობს მხოლოდ ვალდებულებას, გადასცეს მყიდველს საკუთრება და უშუალოდ ჯერ არ გადასცემს მას. მისგან უნდა გაიმიჯნოს (გამიჯვნის პრინციპი) სანივთო შეთანხმება გარიგება, რომლითაც გამყიდველი უშუალოდ გადასცემს მყიდველს

<sup>74</sup> რუსიაშვილი გიორგი, 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, №1, 22

<sup>75</sup> იქვე.

საკუთრებას. სანივთო გარიგებით შემძენი და გამსხვისებელი არა მხოლოდ თანხმდებიან ვალდებულების წარმოშობაზე, არამედ უშუალოდ გადასცემენ საკუთრებას ნივთზე. სანივთო გარიგება არის ჩვეულებრივი ორმხრივი გარიგება, ანუ ხელშეკრულება, რომელიც იდება ზოგადი წესების თანახმად – ოფერტიტა და აქცეპტით, მიმართული საკუთრების გადასვლისაკენ. სანივთო შეთანხმება შეიძლება შედგეს მავალდებულებელი გარიგების შეთანხმებასთან ერთად ან მოგვიანებით.

მართალია, სანივთო გარიგება შემადგენლობის (დადებისა და შინაარსის) მხრივ დამოუკიდებელი გარიგებაა, თუმცა მისი ნამდვილობა – სანივთო ეფექტი გამოხატული საკუთრების გადაცემაში – დამოკიდებულია კაუზალური, ანუ ვალდებულებითი გარიგების ნამდვილობაზე (კაუზალობის პრინციპი). თუ კაუზალური ნასყიდობა არანამდვილია, შემძენს არ გააჩნია ნამდვილი უფლება 186 I მუხლის გაგებით და ის ვერ მოიპოვებს საკუთრებას.<sup>76</sup>

სანივთო გარიგების მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი რომლის მესამე წინადადების მიხედვით მიხედვითაც „ნივთის გადაცემად ითვლება: მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება. საკუთრების უფლება გადადის არა მფლობელობით არამედ სანივთო გარიგების საფუძველზე 188-ე მუხლის პირველი წინადადება – „თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ“. საკუთრების უფლება გადადის არა ნივთის გადაცემით, არამედ სანივთო პირობითი გარიგებით.<sup>77</sup>

---

<sup>76</sup> რუსიაშვილი გიორგი. სირდაძე ლადო. ეგნატაშვილი დემეტრე. სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული). (თბილისი, 2019), 112

<sup>77</sup> გლაზოვი გიორგი. 2019. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის წესი, სამართალი და მსოფლიო ევროპის უნივერსიტეტის სამრათლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი №11. 173

მოთხოვნის დათმობა წარმოადგენს განკარგვით გარიგებას, ვინაიდან ამ დროს ხდება არსებულ უფლებაზე უშუალო ზემოქმედება – მისი გადაცემა სხვა პირზე. მოთხოვნის დათმობის შინაარსს წარმოადგენს მოთხოვნის გადაცემა. ამიტომ იგი არ არის მავალდებულებელი გარიგება. მოთხოვნის დათმობა აბსტრაქტული გარიგებაა. იგი ყოველთვის უნდა განვასხვავოთ მის საფუძვლად არსებული კაუზალური გარიგებისაგან, რომელიც მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა (ნასყიდობა, ჩუქება, დავალება). განსხვავებით ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისაგან, ქართულ სამართალში მოთხოვნის დათმობა აბსტრაქტულია და დამოკიდებული არ არის სამართლებრივ საფუძველზე (კაუზაზე). თუ რაიმე მიზეზით მოთხოვნის დათმობის საფუძვლად არსებული კაუზა ბათილად იქნება ცნობილი, ეს არ ეხება მოთხოვნის დათმობის ნამდვილობას. მოთხოვნის დათმობა მაინც ნამდვილად ჩაითვლება და მოთხოვნა გადასულად ჩაითვლება მხარეზე. <sup>78</sup>გამიჯვნის პრინციპის გარეშე ასევე აუხსნელია, თუ რას წარმოადგენს 199 II 1 წინადადებაში მოწესრიგებული დათმობის ხელშეკრულება. გასაგებია, რომ აქ არ იგულისხმება მოთხოვნის ნასყიდობა ან რაიმე სხვა ვალდებულებითი გარიგება. პირველ რიგში, იმიტომ, რომ გაუგებარია, თუ მაშინ რატომ არის ის მოწესრიგებული სანივთო და არა ვალდებულებით სამართალში და, გარდა ამისა, ნასყიდობით ვერავინ ვერავის ვერ დაუთმობს მოთხოვნას, ნასყიდობით შეიძლება მხოლოდ დათმობის ვალდებულების კისრება (სსკ-ის 477). <sup>79</sup>

სამოქალაქო კოდექსის 300- და 301-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით დატვირთული ნივთის საკუთრებაში გადაცემის დათქმა გირავნობის ან იპოთეკის სამართალში (2601, 300 I, შდრ. ასევე 301 II).

უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს სსკ-ის 102 მუხლი, რომელიც აწესრიგებს საგნის განკარგვას არაუფლებამოსილი პირის მიერ და მიუთითებს რომ „განკარგვა

<sup>78</sup> ჭეჭელაშვილი ზურაბ, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2008, 40

<sup>79</sup> რუსიაშვილი გიორგი, 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019. 23

ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს.<sup>80</sup> აღნიშნული დანაწესში განკარგვა როგორც გარიგება ისე არის მოხსენიებული შესაბამისად შეგვიძლია დავაკსენათ რომ ეს სანივთო გარიგების არსებობის მტკიცებულებას წარმოადგენს.

განკარგვის დამოუკიდებელი გარიგების სახით გამოცალკევება ვალდებულებითი გარიგებისაგან წარმოადგენს საკმაოდ მოსახერხებელ გადაწყვეტას და იძლევა სამართლებრივი სიკეთების ტრანსფერის უფრო მრავალფეროვნად გამართვის შესაძლებლობას. მაგალითისათვის შესაძლებელია შემთხვევის მოშველიება, როდესაც პირი სხვას ანიჭებს მისი ნივთის გაყიდვის (წარმომადგენლობით) უფლებამოსილებას, თუმცა არ ანიჭებს ამ ნივთზე საკუთრების გადაცემის უფლებას. მიუხედავად ამისა, წარმომადგენელი აკეთებს ორივეს, არა მხოლოდ ყიდის ნივთს, არამედ გადასცემს მასზე საკუთრებასაც. რეალური მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ გამყიდველი თანახმაა, რომ საკუთრება მყიდველს დარჩეს, თუმცა, განკარგვის გარიგების ცალკე გამოყოფის გარეშე გაურკვეველი რჩება, თუ რა უნდა მოიწონოს მან (102 II) – ნასყიდობას ვერ მოიწონებს, რადგან ის ისედაც ნამდვილია, ხოლო რეალაქტის მოწონება შეუძლებელია. რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი, გამყიდველმა მყიდველს ნივთზე საკუთრება თავიდან უნდა გადასცეს.<sup>81</sup>

აუცილებლად უნდა ვახსენოთ სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ცალმხრივი გარიგებები და მათი სამართლებრივი ბუნება. ცალმხრივია გარიგებები, რომელთა ნამდვილობისთვის საკმარისია ერთი პირის მიერ გამოვლენილი ნება ამ ნების გამოვლენით მიიღწევა ის სამართლებრივი შედეგი, რომლის წარმოშობისკენ, შეცვლისკენ ან შეწყვეტისკენ არის მიმართული პირის ნების გამოვლენა. ცალმხრივი გარიგების მაგალითს წარმოადგენს სსკ-ის 184 მუხლი, რომელიც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვებას აწესრიგებს. თუ ეს

---

<sup>80</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (matsne.gov.ge) 13.06.2020

<sup>81</sup> რუსიაშვილი გიორგი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019, სქოლიო 23, 23



აქტები გარიგებებია, მაშინ ისინი სანივთო გარიგებების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, რადგან არანაირი ვალდებულებითი ეფექტი მათ არ გააჩნიათ. ამ შემთხვევაში კი საკმაოდ გაუგებარი რჩება, თუ რატომ აღიარებს ქართული სანივთო სამართალი მხოლოდ ცალმხრივ სანივთო გარიგებებს და არ აღიარებს ორმხრივს, როგორც არის, მაგალითად, საკუთრების გადაცემა.<sup>82</sup>

გარდა ამისა, ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა შეიცავს მრავალ სხვა დანაწესებს, რომელთა შინაარსიდან გამომდინარეც მეტად მყარდება სანივთო გარიგების არსებობასთან დაკავშირებული საკითხი. იმ შემთხვევაში თუ ვიტყვით, რომ სანივთო გარიგება არ არსებობს, ყველა ზემოთხსენებული ნორმა მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივ შეთანხმებას ეხება და მათი ადგილი ვალდებულებით სამართალშია და არა სანივთო სამართლის მომწესრიგებელ ნორმათა რიგებში.

---

<sup>82</sup> რუსიაშვილი გიორგი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019, 23

## დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მოცემულ ნაშრომში განხილულ იქნა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემები. აღნიშნულ სისტემათა თავისებურები გერმანიისა და საფრანგეთის და საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის მაგალითზე. ხაზი გაესვა სანივთო გარიგების მნიშვნელობას და მის დამოუკიდებლობას მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სამართლებრივ ასპექტში. გერმანიისა და საფრანგეთის საკანონმდებლო მოწესრიგების სისტემათა ქართულ სისტემასთან შედარებით-სამართლებრივი კვლევის მაგალითზე გამოიკვეთა, რომ საქართველოში მოქმედი ე.წ შუალედური პრინციპი, რომელიც მოიცავს საფრანგეთში მოქმედ ერთიანობის პრინციპს და ამასთან ტრადიციის პრინციპს, იმ რეალობაში, როცა სანივთო გარიგება საერთოდ არ არის აღიარებული უამრავ საკანონმდებლო და პრაქტიკული ხასიათის პრობლემას აჩენს.

ის ფაქტი, რომ თავის მხრივ სანივთო გარიგება აუცილებელია საკუთრების უფლების გადაცემისას და იგი უნდა არსებობდეს, შესაძლებელია უფრო ართულებს კიდევ საკუთრების უფლების გადაცემის პროცესს, თუმცა სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების სირთულე მისი არსებობის საფუძვლის შესასუსტებლად არ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

კვლევის პროცესში ნასყიდობის ხელშეკრულების მაგალითზე გამოიკვეთა, რომ შესაბამისი ვალდებულებითი გარიგება მხოლოდ საკუთრების/ნივთის გადაცემის ვალდებულებას წარმოშობს და ნივთის გადაცემისთვის, როგორც შედეგისთვის, საჭიროა დამოუკიდებელი სანივთოს გარიგების არსებობა, რომელიც ნივთის გადაცემას უზრუნველყოფს.

სსკ -ის სისტემური ანალიზის შედეგად შესაძლებელია დასახელდეს არაერთი ნორმა, რომელიც უთითებს სანივთო გარიგების არსებობაზე და ადასტურებს მის საჭიროებას.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები უმეტესწილად ვერც წარმოიდგენენ რა სამართლებრივი კონსტუქციების ერთობლიობა დგება მათ მიერ თუნდაც 1 ცალი ფუნთუშის ყიდვისას. შესაბამისად რთული წარმოსადგენია რა მიჯნა შეიძლება არსებობდეს სანივთო და ვალდებულებით გარიგებებს შორის. ამ ყველაფრის დანახვა და კვლევა იურიდიული მეცნიერების საქმეა. ნორმის ინტერპრეტაციის მიზანს არა სიმარტივე არამედ ფართო და სიღრმისეული განმარტება უნდა წარმოადგენდეს. ნორმის განმარტება იმდენად სიღრმისეული და მრავალმხრივი უნდა იყოს, რომ პრაქტიკულ შემთხვევათა მოწესრიგებისას არ დარჩეს სივრცე რასაც იგი ვერ მოაწესრიგებს, შესაბამისად წინამდებარე ნაშრომში მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის ინსტიტუტის მიმოხილვაც სწორედ ხსენებულ მიზანს ემსახურება.

## ბიბლიოგრაფია

### *გამოყენებული ლიტერატურა*

1. ზოიძე ბესარიონ. ქართული სანივთო სამართალი. (თბილისი: „მეცნიერება“, 2003,
2. კერესელიძე დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, (თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, 2009)
3. კროპჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014.
4. ჭანტურია ლადო. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. (თბილისი: მერიდიანი 2011)
5. ჭეჭელაშვილი ზურაბ. სანივთო სამართალი. (თბილისი: 2009)
6. ჭანტურია ლადო, უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, (თბილისი: 2001)
7. ჭეჭელაშვილი ზურაბ. სანივთო სამართალი. შედარებით-სამართლებრივი კვლევა. მესამე გადამუშავებული გამოცემა. (თბილისი: „ბონა კაუზა“, 2014)
8. Matthias E. Storme, Property Law in a Comparative Perspective, (seventh edition, KU Leuven Centre for Advanced Legal Studies, 2002)
9. Van Vliet,L, Transfer of Movables in German, French, English and Dutch Law , (Nijmegen , 2000)
10. Wolf, Manfred: Sachenrecht, 14.Auflage, (Verlag C.H.Beck, München, 1999)

### *გამოყენებული სამეცნიერო სტატიები*

1. ლაფაჩი ეკატერინე. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე. სადისერტაციო ნაშრომი. 2016
2. რუსიაშვილი გიორგი. 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი. №1
3. ჭეჭელაშვილი ზურაბ. მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 2008
4. ჭეჭელაშვილი ზურაბ. 2004. საკუთრების უფლების გადაცემა უძრავ ნივთზე. ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I. 2004
5. ჭანტურია ლადო. უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებით სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე. სადისერტაციო ნაშრომი 1994
6. ჭეჭელაშვილი ზურაბ. 2004 საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე. ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I. 91.
7. დანელია ეკატერინე, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008
8. გაჩეჩილაძე თეონა, სანივთო გარიგება - მოძრავი ნივთის გასხვისების „უხილავი“ ელემენტი, ადვოკატი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი, 2017წ. № 1-2
9. რუსიაშვილი გიორგი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019
10. ასათიანი თამარ. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები. სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი) თბილისი, 2013
11. რუსიაშვილი გიორგი. სირდაძე ლადო. ეგნატაშვილი დემეტრე. სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული). (თბილისი, 2019),

12. გლაზოვი გიორგი, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის წესი, სამართალი და მსოფლიო ევროპის უნივერსიტეტის სამრათლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი №11 თბილისი 2019 წ., 173

***გამოყენებული ნორმატიული მასალა***

1. საქართველო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (786, 26.06.1997), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ელექტრონული ბაზა:  
<https://matsne.gov.ge/>

***გამოყენებული სასამართლო გადაწყვეტილებები***

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება № 1/2/384
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 09 სექტემბრის გადაწყვეტილება №3კ/624-02

***გამოყენებული ვებ . გვერდების მისამართები***

1. [https://www.legifrance.gouv.fr/content/download/1950/13681/version/3/file/Code\\_22.pdf](https://www.legifrance.gouv.fr/content/download/1950/13681/version/3/file/Code_22.pdf) (20.06.2020)